პრეპუბლიკაციური რეცენზირების ეპისტემური მნიშვნელობა

ნატალი გიორგობიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამაზ თოხაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნატალი გიორგობიანი

20.06.2024

აბსტრაქტი

პრეპუბლიკაციურ რეცენზირების პროცედურას კრიტიკული ადგილი უკავია მეცნიერების სოციალურ სტრუქტურაში. პროცედურა, როგორც ხარისხის კონტროლის სისტემა, წყვეტს თუ რა ჩაითვალოს კონტრიბუციად სამეცნიერო ცოდნაში. შესაბამისად, ჩვენი ცოდნა სამეცნიერო საკითხების შესახებ დიდწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელმა ხელნაწერებმა შეძლო რეცენზირების ფილტრის წარმატებით გავლა.

თუმცა, ბოლო დროს აქტუალური გახდა დებატები რეცენზირების პროცედურის კრიზისის შესახებ და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი აუცილებლობა. სოციალურ ეპისტემოლოგიასა და მეცნიერების ფილოსოფიაში პრეპუბლიკაციური რეცენზირების წინააღმდეგ ძირითად შედავებებს წარმოადგენს იდეების თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული კრიტიკა, კონსერვატიულობის კრიტიკა და კრიტიკა ეპისტემური კონსეკვენციალიზმიდან. დებატები დაკავშირებულია რეცენზირების პროცედურის ძირითად ფუნქციასთან ანუ პუბლიკაციათა ფილტრაციასთან და მთავარ შეკითხვას წარმოადგენს ის, თუ რომელ ეტაპზე არის გონივრული ფილტრაცია: სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებამდე თუ გამოქვეყნების შემდეგ. ხედვების შესაბამისად მოწინააღმდეგე მხარეები ავითარებენ არგუმენტებს კლასიკური ანუ პრეპუბლიკაციური და ალტერნატიული ანუ პოსტპუბლიკაციური რეცენზირების მოდელების სასარგებლოდ.

ნაშრომი სწორედ მიმდინარე დებატებზე იქნება ფოკუსირებული. ნაშრომის მიზანია დაიცვას კლასიკური ანუ პრეპუბლიკაციური რეცენზირების პროცედურა ზემოთ მოცემული შედავებების წინააღმდეგ და განავითაროს ზუსტი და ინფორმაციული სურათი მისი როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ნაშრომში მოცემული იქნება რეცენზირების პროცედურის ისტორია, მიმდინარე პრაქტიკა და ჩამოყალიბებული იქნება ნორმატიული ჩარჩო, რომლის შუქზეც შეფასდება პრეპუბლიკაციური რეცენზირების მოწინააღმდეგეთა კრიტიკული არგუმენტები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეცენზირების პროცედურა, მეცნიერების სანდოობა, ექსპერტები, მეცნიერების კრედიტ ეკონომიკა, აკადემიური არაკეთილსინდისიერება

Abstract

Pre-publication peer review plays a critical role in the social structure of science. Serving as a quality control system, it determines what is recognized as a contribution to scientific knowledge. As a result, our knowledge of scientific issues largely depends on which manuscripts have successfully passed through the peer review filter.

However, the debate about the peer review crisis has recently gained significance, and the necessity of the procedure has been called into question. The primary arguments against pre-publication peer review in social epistemology and philosophy of science include critique based on the free market of ideas, criticism of conservatism, and objections rooted in epistemic consequentialism. The debate mainly revolves around the primary function of the peer review process - filtering publications—and focuses on the key question of when filtering is most appropriate: before or after the publication of scientific articles. According to these perspectives, opposing parties formulate arguments in support of either the classical pre-publication peer review model or the alternative post-publication model.

The focus of this paper is on the ongoing debate surrounding peer review. Its aim is to defend the classical pre-publication peer review against the aforementioned objections and to establish a precise and informative understanding of its role and significance. The paper will present the historical development of the peer review, discuss current practices, and establish a normative framework against which the critical arguments of opponents of prepublication peer review will be evaluated.

Keywords: peer-review, credibility of science, experts, credit economy of science, academic misconduct